პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 4 აგვისტო 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი ჯარი

173 (871) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ...ხურვალე სალამი გერმანიის პროლეტარიატის წარმომადგენლებს.

...დღეს საქართველოს წითე...ი დედაქალაქი—თბილისი ...ელის ძვირფას. სტუმრებს—...რმანიის მუშათა კლასის დე...ეგატებს. მათი მიზანი ისეთი...ა რაც წინანდელი მუშათა ...ლეგაციების, რომლებიც სხვა ...სხვა ქვეყნიდან ესტუმრენ ...ბჭოთა რესპუბლიკებს. ჩვენი ...ხოვრება, ჩვენი მუშაობა, ჩვე...ი სინამდვილე—აი რა აინტე...ესებთ გერმანიის პროლეტა...იატის წარმომადგენლებს. ჩვენ ...ულით და გულით ვესალმებით ... თ სურვილს. ჩვენ ფართოდ ...ლებთ მათ კარებს და ვეუბ...ებით „კეთილი იყოს თქვენი ...ოსვლა!“ ჩვენ ყოველმხრივ ...უწყობთ მათ ხელს დაწვრი...ებით, ახლოს, გაეცნონ ჩვე...ი ქვეყნის სინამდვილეს, ქარ...ველი მშრომელი ხალხის ყო...ა-ცხოვრებას და მის შემო...მედებითი შრომის ნაყოფს.

...ჩვენი გულითადი სურვილია ...ზღვარგარეთელ ამხანაგებმა ...ანახონ ყოველივე ჩვენი ავ...რგი, ასწონ-დასწონონ ის, ...აფასონ თავისი პროლეტა...ული სინდისის ქვეშ, და შე...რონ ყოველივე იმ საზიზ...არ ჭორებს, რომელსაც გამ...ცველი მენშევიკური და ბუ...ჟუაზიული გაზეთები თხზავენ ...ენ შესახებ.

...კაპიტალისტური ევროპა და ...ელი სოციალ-გამყიდველთა ...ნაკი ერთხმად გაჰყვირიან: ...საქართველო დამონავებულია ...ჭთელი იმპერიალიზმის მიე...ო“! დეე ჩვენმა სტუმრებმა ...რგად გასინჯონ ეს მტკიცე...ა აქ ადგილზე და შემდეგ ...ა მაღლა აღიარონ თუ რამ...ენათ ეს უსაძაგლესი სიყალბე შეეფერება სიმართლეს.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ გერმანიის პროლეტარებმა ტყუილი სიმართლისგან ვერ გაარჩიონ.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ამ მხრივ ისინი სრულიად არ წააგავენ თავის გამყიდველ სინდის გარეცხილ ყვითელ ბელადებს. ჩვენ გვწამს, რომ მათში ღრმად გამჯდარია პროლეტარული სიმართლის და გამბედაობის გრძნობა.

და ისინი სამშობლოში დაბრუნებისას იტყვიან სრულ სიმართლეს. არც მეტს არც ნაკლებს.

**სიმართლე კი არის ის— რომ საბჭოთა საქართველოს ბატონ-პატრონი არის საქართველოს მშრომელი ხალხი.** დროა დასავლეთის მუშათა კლასმა გაიგოს ეს.

დროა ბურჟუაზიული ტყუილისა და ცილის წამების ხუხულა დაინგრეს და კაპიტალისტური ქვეყნების მუშებმა იცოდენ მხოლოდ სიმართლე დიდ საბჭოთა კავშირის შესახებ.

ამ მხრივ დიდი როლი უნდა ითამაშონ მუშათა დელეგაციებმა და კერძოდ გერმანიის მუშებისა. მათ ნიადაგი უნდა გამოაცალონ ბურჟუაზიის და სოციალ-გამყიდველების პროვოკაციულ მუშაობას.

და ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ამ ისტორიული მნიშვნელობის როლს ისინი პირნათლად შეასრულებენ.

# ქართული წითელი ჯარი მხურვალედ ესალმება საბჭოთა საქართველოს ძვირფას სტუმრებს---გერმანიის პროლეტარიატის დელეგატებს!

## გერმანიის დელეგაციის წევრები.



იოგან კიუპპერ სოც.-დემოკრატი (კომუნალურ-რი დარგის მუშა) | მაკს ბროდე გერმ. კომპარტ. წევრი. (სამშენებლო დარგის მუშა).

## ინგლისის სამთომადნო მუშებმა გაიმარჯვეს.

**კონფლიქტი ქვანახშირის სამრეწველოში მოგვარებულ იქნა. მთავრობამ სუბსიდია აღუთქვა მაღაროს მეპატრონეებს. გაიმარჯვა მუშათა ორგანიზაციების ერთიანმა ფრონტმა.**

## კონსერვატორები და ლიბერალები განგაშს სცემენ.

ინგლისის კონსერვატიული გაზეთები შეწუხებული არიან მთავრობის გადაწყვეტილებით დახმარების მიცემის შესახებ სამთო სამრეწველოზე.

„მორნინგპოსტი“ სწერს: „პროფკავშირებმა ნახეს ხერხი არ სჭრის იმ უთანხმოებას, რომელიც წარმოიშვა სამთომადნო მრეწველობაში.

სამთო მადნო მრეწველობის კრიზისი გამოწვეულია ბაზრის უქონლობის გამო. ამიტომ რას აპირებს 9 თვის შემდეგ კონსერვატორული მთავრობა? როცა მსოფლიო მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა სრულიად არ ლაპარაკობს იმას, რომ ინგლისის სამთომადნო მრეწველობას ამ ხნის განმავლობაში ბაზარი შეეძინება; პირიქით სხვა ქვეყნების კონკურენცია უფრო შეამცირებს მის ბაზარს.

ასე რომ კრიზისი სამთომადნო მრეწველობაში ინგლისის მთავრობას სრულიად არ გადაუჭრია, არამედ მან დროებით შეაჩერა. და რა ფასით? სახელმწიფო ხაზინიდან. ე. ი. მშრომელი ხალხის ზურგზე აღლეტილ ფულიდან ის ზარალს აუნაზღაურებს მრეწველებს.

ეს ზომა იმავე მუშათა კლასის წინააღმდეგ არის მიმართული. ამასთანავე ეს ზომა დიდათ დააწვება ინგლისის სახელმწიფო შემოსავალს და შეარყევს ფულის კურსსაც.

ამრიგად ინგლისის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი სამთო მადნო მრეწველობაში შექმნილ კრიზისის გადასაჭრელად, არამც თუ არ უშველის მდგომარეობას, პირიქით ხელს შეუწყობს ამ კრიზისის უფრო გამწვავებას. 9 თვის შემდეგ ეს საკითხი კვლავ წამოიჭრება და რას აპირებს მაშინ ბურჟუაზიული ძალაუფლება? ჩვენ არ ვიცით რა გზას დაადგება ის, მაგრამ ერთი ცხადია: ინგლისის პროლეტარიატი, რომელმაც ამ ჟამად თავისი მთლიანი ფრონტით თავისი გაიტანა 9 თვის შემდეგ უფრო მტკიცე და შეურყეველი იქნება თავის მოთხოვნილებებში და არავითარ შემთხვევაში უკან არ დაიხევს. შერიგების გზა მან უკვე უარყო. მისი ახალი გზაა შეურიგებელი ბრძოლა თავის ქვეყნის მყვლეფელებთან.

და ეს გზა მას მიიყვანს საბოლოო გამარჯვებამდე.

—ე.

## ...ნგლისის პროლეტარიატმა მაინც თავისი გაიტანა.

...ინგლისის პროლეტარიატის ...მტკიცემ გასჭრა.

...ბოლდუინის მთავრობა იძუ...ებული გახდა ანგარიში გაე...ა მუშებისათვის და ის დათ...ობის გზას დაადგა. მაგრამ ...ისი ბურჟუაზიული მთავრო...ა იქნებოდა ის, რომ ...ს დავა სამთომადნო მუშებ...ს და მრეწველთა შორის მარ...ო მუშების სასარგებლოდ გა...ეწყვიტა.

...ამას არასდროს არ ჩაიდენ...ა და არც ჩაიდენს კონსერვა...იული მთავრობა, ვინაიდან ...ს არის ინგლისის ბურჟუა...იის მიერ დაყენებული და ...ისი ინტერესების გამტარებე...ი მთავრობა. და აი მუშათა მთლიანი ფრონტით უკან დახეული ინგლისის მთავრობა გამოსავალს ეძებს შემდეგში. ის ეუბნება კაპიტალისტებს: უკან წაიღეთ თქვენი მოთხოვნილებანი, სამაგიეროთ მთავრობა თანახმა არის 9 თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინიდან აგინაზღაუროს ის ზარალი, რომელსაც განწევთ თქვენ.

ამრიგად ბოლდუინის კაბინეტმა თითქოს ბრძნულად გადასჭრა საკითხი. მისი აზრით მან არც შამფური დაწვა და არც წვადი.

მაგრამ თუ ჩაუკვირდებით ამ ზომის შინაარს ჩვენ დავინახვთ იმას, რომ ის სრულიად

თუ როგორ გამოსტყუონ დათმობა მრეწველებს თავიანთ სასარგებლოდ“.

გაზეთს აფიქრებს, რომ ასეთ დათმობებს ისინი სხვა დარგებისთვისაც მიაღწევენო.

„დეილი ტელეგრაფი“ სწერს: „მთავრობა იძულებული იყო დაეთმო, ვინაიდან ერთის მხრივ მეპატრონეებმა მიუშვირეს რევოლვერი შუბლში, მეორეს მხრივ მუშები გარს შემოერტყენ ტყვიამფრქვევებით მთავრობასა და ინგლისის საზოგადოებას.

„მანჩესტერ გარდიენის“ კორესპონდენტი სწერს: „მუშებში უკმაყოფილო არიან იმ მეთოდებით, რომლებითაც მთავრობა აწარმოებდა მოლაპარაკებას, და თითქოს ერთგვარი მოწყალება გაიღო ამ დათმობით“.

სამრეწველო წრეებში შიშობენ, რომ თუ სუბსიდია ძვირად დაუჯდა მთავრობას, ამას შეიძლება მოყვეს სამრეწველოების ნაციონალიზაცია. მრეწველებს განსაკუთრებით აშინებს ის, რომ ასეთ დახმარებას სხვა კავშირებიც მიიღებენო.

## სამთომადნო მუშების გამარჯვება პროლეტარული სოლიდარობის ზეიმია.

მაღაროს პატრონები დასთანხმდენ გააგრძელონ ორი კვირით ხელშეკრულების ვადა. სამთომადნო მუშათა ფედერაციამ წინადადება მისცა მუშებს ნუ შესწყვეტენ მუშაობას.

კავშირის ლიდერები ულოცავენ მიღწეულ შედეგებს, როგორც პროლეტარული სოლიდარობის გამარჯვებას.

მემარცხენე პოლიტიკურ წრეებში ამას სთვლიან მუშათა ორგანიზაციების ერთიანი ფრონტის შედეგად. კერძოდ დიდი როლი ითამაშა ტრანსპორტის მუშათა დეკლარაციამ სამთომადნო მუშაბზე დახმარების შესახებ.

## ჩინეთის ამბები.

### კმარა ამდენი გამოძიება.

უცხოელებს განზრახული აქვთ გააგზავნონ შანხაიში ახალი მისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს იქ მომხდარი ამბები.

მთელი ჩინეთის გაზეთები ამის წინააღმდეგი არიან და აცხადებენ, რომ მთელი ჩინეთის ხალხი წინააღმდეგია ამ ახალი გამოძიების, ვინაიდან საქმე უკვე გამორკვეული იყო.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სათანადო ინსტრუქციები გაუგზავნა უცხოეთში მყოფ ჩინეთის წარმომადგენლებს.

სამინისტრო მოითხოვს მოლაპარაკებას არათანასწორ უფლებიან ხელშეკრულებათა გაბათილების შესახებ.

### მხოლოდ ინგლისის წინააღმდეგ.

ჩინეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი მიმართულ ცირკულიარში ფინ-უი-სიანი აცხადებს, რომ ეროვნული მოძრაობა მიმართულ უნდა იყოს მხოლოდ ინგლისის წინააღმდეგ, ვინაიდან მხოლოდ ისაა დამნაშავე შანხაის, ხანკუსა და კანტონის სისხლის ღვრაში. ფინ უი-სიანი გამოსთქვამს აზრს— დაიცავით სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომებიო.

### ინგლისი ემზადება ბრძოლისთვის კანტონის მთავრობასთან.

ინდოეთიდან გონკონგში გაგზავნილია ინდუსების რამოდენიმე რაზმი. მოელიან შეტაკებას გონკონგსა და კანტონს შუა.

### საგაფიცვო მოძრაობა.

საგაფიცვო მოძრაობა გადადის კანტონიდან სხვა რაიონებში, კერძოდ მაკაოში. შეწყდა გემების მიმოსვლა კანტონსა და მაკაოს შუა. გაფიცვები ვრცელდება სამხრეთ-აღმოსავლეთის ნავთსადგურებში. დაიწყო მღელვარება ამოის ნავთსადგურში. იქ გაიგზავნა ამერიკის სამხედრო გემები.

# მშრომელი ხალხის გამცემლები პროლეტარული სამსჯავროს წინაშე

**29 ივლისის დილის სხდომა**

**საზოგადოებრივი ბრალმდებლის ამხ. ს. ქავთარაძის სიტყვა.**

თავის სიტყვის შესავალში ბრალმდებელმა აღნიშნა პროცესის სერიოზული ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა საერთაშორისო ფარგლებში, შეეხო სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და მის როლს წარსულში და ბოლო დროს, დაახასიათა ის როგორც ბურჟუაზიული წესწყობილების დასაყრდენი, აღნიშნა 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ მათი პარლამენტარიზმის გზა, რამაც გამოიწვია ამ პარტიის გახრწნა და ლიკვიდაციები და შემდეგ გადავიდა იმაზე, თუ როგორი იყო

**მენშევიზმის პოზიცია მეორე რევოლიუციის დროს.**

მოხდა—ამბობს ბრალმდებელი—1917 წლის რევოლიუცია. საქართველოში დაისვა საკითხი რევოლიუციის შეფასების შესახებ. მოხდა პირველი კრება, სადაც თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, რომელმაც ვერ გაბედა ისიც, რომ „დემოკრატიული რესპუბლიკა“ წამოეყენებია სახელმწიფოებრივ ფორმად-აქაო და ბურჟუაზიული პარტიები მემარცხენეობად ჩამითვლიანო.

ამიერ-კავკასიის ალმასკომების ყრილობაზე საპროგრამო სიტყვით უნდა გამოსულიყო ნოე ჟორდანია. რა სთქვა მან? მან სთქვა: არამც და არამც პროლეტარიატი მთავრობაში არ უნდა შევიდეს, ეს არის რევოლიუცია ბურჟუაზიული და მხოლოდ ბურჟუაზია უნდა აწარმოებდეს სახელმწიფო საქმეს, ის დიდ მემარცხენეობად სთვლიდა, როცა სთქვა: თუ მაინცდამაინც, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები შეიძლება შევიდენ მთავრობაშიო.

**ოქტომბერი სოციალ-დემოკრატიის შეფასებაში.**

მოხდა 1917 წლის რევოლიუცია მუშათა კლასის მიერ, რომელსაც მხარი დაუჭირა გლეხობამ. მესამეჯერ დადგა საკითხი რევოლიუციის შეფასების.

ტფილისში იყო მრავალი კრებები, რომლებზედაც ჟორდანია აფასებდა ამ რევოლიუციას. მახსოვს, ჟორდანიამ ერთ კრებაზე სთქვა, რომ ეს რევოლიუცია არის ბუნტი, მას არავითარი სოციალური ნიადაგი არ აქვს ხალხის ცხოვრების სიღრმეში, ის უნდა მოისპოს უეჭველადო. მაგრამ ის არ მოსპობილა და როგორც ხედავთ აგერ რვა წელიწადი გადის რაც არსებობს. ამრიგად მენშევიკურმა პარტიამ ასე შემცდარად შეაფასა ოქტომბრის რევოლიუცია.

**რით უნდა აეხსნათ ამიერ-კავკასიის გამოყოფა.**

ამის შემდეგ—ამბობს ბრალმდებელი—საჭირო იყო ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის ტალღას თავიდან აიშორებდა და სწორედ აქედან დაიბადა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შექმნის აზრი სეიმის სახით.

ამიერ-კავკასიის რუსეთიდან ჩამოშორებაში მეტად დაინტერესებული იყო დასავლეთის ბურჟუაზია, განსაკუთრებით გერმანია. და სწორედ ეს ჩამოშორება ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ერთ-ერთი აქტი იყო რუსეთის დაქსასვის პოლიტიკაში.

**ვის სჭირდებოდა „დამოუკიდებელი საქართველო“.**

აქ ბრალმდებელი ეხება ამიერ-კავკასიის დანაწილებას და ამბობს: ინგლისმა რომ გაიმარჯვა, მან განაგრძო პოლიტიკა „დაანაწილე და იბატონე“.

ამიერ-კავკასია დაყოფილ იქნა სამ ნაწილად: სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი. აქ აღსანიშნავია ის, რომ მენშევიკები, რომლებიც ქვეყანას უმტკიცებდენ ამიერ-კავკასიის სეიმის შექმნას, 6 თვის შემდეგ უმტკიცებენ ქვეყანას ამის საწინააღმდეგოს. მენშევიკებმა გადააქციეს ნაციონალური საბჭო პარლამენტად. ეს იყო სრულიად შემთხვევითი ორგანო, რომელიც არ ყოფილა სრულებით ხალხის მიერ არჩეული.

ცხადია ეს საჭირო იყო ანტანტისთვის, რომელმაც სათამაშო ბურთად გიხადა საქართველოს მთავრობა.

**რა იწვევდა ქართული სოფლების აჯანყებას.**

ბრალმდებელი ახასიათებს მენშევიკების აგრარულ პოლიტიკას საქართველოში და ამბობს: აგრარული საკითხი ჩვენში ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა მეტნაწილად მიწადმოქმედების ქვეყანაა. რა გააკეთა მენშევიკურმა მთავრობამ ამ საკითხში? არაფერი.

ამის დასამტკიცებლად ბრალმდებელს მოჰყავს აჯანყების ფაქტები, რომლებმაც სტიქიური ხასიათი მიიღო საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში და რომლებიც სისხლში იქნა ჩახშობილი მენშევიკური მთავრობის მიერ.

**როგორ მოაგვარა მენშევიკურმა მთავრობამ მუშათა საკითხი.**

მაგრამ ვნახოთ—ამბობს ბრალმდებელი—რა გააკეთა მენშევიკურმა მთავრობამ მუშათა კლასის სასარგებლოდ. ჟორდანია ამბობდა: მუშური საკითხი ძირითადია, მაგრამ ეს საკითხი ეხება არა მარტო მუშებს, არამედ მრეწველებსაცო. ამ საკითხში არაფერი გაკეთებულა, მუშები უკმაყოფილოა და მათში ბევრი მენშევიკი-მუშები დასნეულდა ბოლშევიკური სენითო.

აქ საკმარისია მოვიყვანოთ მუშათა კორესპონდენციები მაშინდელ გაზეთებში—„ერთობაში“ და „ახალ სხივში“, სადაც მუშები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ მდგომარეობით და პირდაპირ ნატრობდენ იმ მდგომარეობას, რომელიც მოსპო რევოლიუციამ.

**როგორ გრძნობდენ თავს „დემოკრატიულ“ სამოთხეში მცირე ეროვნებები?**

აქ ბრალმდებელი ეხება მენშევიკური მთავრობის პოლიტიკას ეროვნულ თვითგამორკვევის საკითხში, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობდენ მაშინ, მაგრამ ცხოვრებაში კი წინააღმდეგი გაატარეს.

ოსეთმა—ამბობს—ის აღძრა საკითხი ავტონომიურად მოწყობის შესახებ. ჯერ მთავრობამ დიპლომატიურ ხერხს მიმართა, ხოლო შემდეგ იარაღი იხმარა იმ მოთხოვნილების წინააღმდეგ, რომელიც კანონიერად ვითარდებოდა ოსეთში.

შემდეგ მოვიგონოთ აფხაზეთი. ავიღოთ კიდევ დამოკიდებულება სომხეთთან, სადაც რამოდენიმე ნაგლეჯი მიწისთვის დიდი ამბავით გამოეწყო საბრძოლველად მენშევიკური პარტია.

აქედან შეგიძლიათ გამოიტანოთ დასკვნა თუ როგორი იყო მენშევიკური პარტიის ნაციონალური პოლიტიკა.

**როგორ ხსნიდენ მენშევიკები გერმანიის შემოსვლას საქართველოში?**

საქართველოს მთავრობა ამბობს ბრალმდებელი—აცხადებდა ხალხის საყურადღებოდ, რომ გერმანიის ჯარები მოწვეულია მთავრობის თანხმობით და მიზანია დაიცვან საქართველო გარეშე მტრისგანო. „ერთობა“ ამ ფაქტს ადარებდა რუსეთის თვითმპყრობელობის შემოსვლას საქართველოში და ამით ამართლებს გერმანიის ჯარის შემოსვლას. ეს არის ოკუპაცია. მაგრამ დამარცხდა გერმანია ბრძოლის ველზე და საქართველოს მთავრობა იცვლის ორიენტაციას და ემხრობა ანტანტას.

**რა მოუტანეს ქართველ ხალხს ანტანტის ჯარებმა.**

ბრალმდებელი ახასიათებს ანტანტის ჯარების შემოსვლის მომენტს, თუ როგორ შეხვდა მას მენშევიკური მთავრობა, თუ როგორი გეგმით შემოვიდა ანტანტის სახელმწიფოების ჯარები და ამბობს: „მენშევიკებმა შეაგებეს დიომიდე თოფურიძე ანტანტის წარმომადგენლებს.

ანტანტის წარმომადგენელმა მიმართა თოფურიძეს ასეთი შეკითხვით: მე ვიყავი გავლით ტფილისში, იქ შევამჩნიე წითელი დროშები, რით აიხსნება, რომ თქვენ სატახტო ქალაქში წითელი დროშები ფრიალებს“? ამაზე „სოციალისტი“ თოფურიძე უპასუხებს, რომ ეს დროშა არის წითელი გვარდიის დღესასწაულის აღსანიშნავად რომ ამ დროშებს არავითარი კავშირი მთავრობასთან არ აქვს.

მაგრამ საოცარი ეგზამენატორი და კოლონიზატორი კვლავ ეკითხება: „თქვენი მთავრობა სოციალისტური არის თუ არა.“ „სოციალისტი თოფურიძე პეტრე მოციქულივით უარჰყოფს თავის მთავრობასა და ამხანაგებს და უპასუხებს: არა სოციალისტური არ არის“-ო.

ბრალმდებელს კიდევ მოჰყავს აქ მრავალი ფაქტი და ამტკიცებს, რომ ეს იყო ნამდვილი საოკუპაციო ჯარი, რომლის მიზანი იყო კოლონიზაციის გატარება ჩვენში და საქართველოს გამოყენება ბოლშევიკების ოსმალეთისა და სხვების წინააღმდეგ.

**მენშევიკური მთავრობა ანტანტის სათამაშო ბურთს წარმოადგენდა.**

აქ ბრალმდებელი ეხება იმ ფაქტს, თუ როგორ გადაიქცა საქართველოს მთავრობა ანტანტის სათამაშო ბურთად, თუ როგორ ერეოდა ანტანტის სარდლობა მენშევიკური მთავრობის საქმეებში და მაგალითად მოჰყავს შემთხვევები. თუ როგორ აუკრძალა მენშევიკურ მთავრობას ინგლისის წარმომადგენელმა დამარცხებულ ბოლშევიკური ჯარების ხიზნად შემოშვება საქართველოში, თუ როგორ გააშვებია ძეგვის ხიდის ამფეთქებელი შმაგილოვი და სხვები, თუ როგორ აიძულა სიკვდილის განაჩენი გამოეტანათ ინგლისელი აფიცრის მოკვლისთვის პაიჭაძეზე და მრავალი სხვა.

ყველაფერი ეს-ამბობს ბრალმდებელი-იმას ამტკიცებს, რომ არ არსებობდა არც ერთი დარგი სახელმწიფოში, რომელშიაც არ შერეულიყვენ უცხოელები.

**რა დამოკიდებულებაში იყო მენშევიკური მთავრობა დენიკინთან.**

მენშევიკური მთავრობა-ამბობს ბრალმდებელი—ყოველ მხრივ ხელს უწყობდა დენიკინსა და ვრანგელს. საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში, ანტანტის სარდლობის კარნახით გროვდებოდა და იგზავნებოდა ყირიმში თეთრგვარდიელთა და ყაზახთა რაზმები. ამასთან ერთი ინგლისელი გენერლის ბრძანებაში იყო: „ამიერკავკასიის სახელმწიფოებმა თავი შეიკავონ ყოველგვარ აგრესიული მოქმედებისაგან დენიკინის ჯარების წინააღმდეგო. ისინი უნდა შეუთანხმდენ დენიკინს-“ო.

რას წარმოადგენს ეს პოლიტიკა? ეს არის აშკარა კონტრრევოლიუციონური პოლიტიკა, რომლის მიზანია ბოლშევიკებზე გამარჯვება და ამიერ-კავკასიისა და საქართველოს იმპერიალისტების მიზნებისთვის ბაზად გადაქცევა ახლო და შორეულ აღმოსავლეთში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში.)

# სამხედრო საქმე

## სხვა და სხვა გვარ იარაღის ჯართა შენაკრებისთვის.

**კავშირის მნიშვნელობა ჯარების შეერთებულ საბრძოლო მუშაობაში.**

ჯარების საბრძოლო მუშაობა მდგომარეობს განსაზღვრული ამოცანის ასრულებაში. რომ წარმატებით აასრულოს მოცემული ამოცანა, ამიტომ საჭიროა ცალკე ნაწილებისა და მეომრების ღონისძიებები მიმართულ იქნან ერთი მიზნისაკენ. არასდროს არ იქნება წარმატება, თუ რომ მეომარი ან მთელი ნაწილი იმოქმედებს თავისებურად და არ შეუთანხმებს თავის მოქმედებას სხვა ნაწილებს. ასეთ მეომრებს ადვილად დაამარცხებს მტერი: ის დაამარცხებს ჯერ ერთს, მერმედ—მეორეს და ასე ნაწილნაწილად ყველას გაანადგურებს.

აქედან ცხადია, რომ როგორც ცალკე ნაწილებისა და მეომრის, ისე სხვა და სხვა გვარი იარაღის ჯარების მოქმედება სასტიკად უნდა იქნას შეთანხმებული. ხოლო რომ შეათანხმო—საჭიროა უხელმძღვანელო ჯარებს, ე. ი. მიუთითო ვინ რა და როგორ უნდა აკეთოს.

ხელმძღვანელობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კავშირი. ამრიგად კავშირს აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა საბრძოლო მოქმედების მომზადების დროს და განსაკუთრებით ბრძოლაში. ყოველმა მეთაურმა უნდა იცოდეს (რომ წესიერად განაგებდეს) რა ხდება მის წინ, როგორაა მისი მეზობლები და რას აკეთებენ. მას მუდმივი კავშირი უნდა ჰქონდეს ზურგთან, რათა თავის დროზე მოითხოვოს საჭირო მარაგი, ხოლო საჭიროების დროს, დამხმარე ძალაც. თავის მხრივ მან უნდა აძლიოს ცნობები (დასმენა) თავის უფროსს და აცნობოს მეზობლებს, თუ რა ხდება მის ნაწილში. რასაკვირველია ყოველივე ამის გაკეთება შეიძლება, თუ რომ მუდმივი და განუწყვეტი კავშირი იქნება თავის ნაწილებთან, უფროსთან, მეზობლებთან და ზურგთან.

კავშირის საშუალებით უფროსი აძლევს განკარგულებას თავის ნაწილებს, ასმენს თავის უშუალო უფროსს თავის ხელქვეითი ნაწილების მდგომარეობისა და განკარგულების შესახებ და აგრეთვე აცნობებს ამის შესახებ მეზობლებს.

კავშირს იჭერენ ბრძანებების, დასმენის და ცნობათა გადასაცემად სპეციალური ნაწილები, რომელთაც ეწოდება „საკავშირო ჯარები“. ამ ჯარებს აქვთ კავშირის სხვადასხვა საშუალება: ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, მოტოციკლეტი,ველოსიპედი და სხვა. ყოველ ლეგიონთან იმყოფება საკავშირო ჯგუფი, დივიზიასთან—ცალკე საკავშირო ასეული, კორპუსს ან არმიას ეძლევა საკავშირო ათასეულები და რადიო-ათასეულები.

კავშირს, რომელიც არსებობს უფროსსა და ხელქვეითებს შორის, ეწოდება „კავშირი სიღრმეში“, ხოლო კავშირს მეზობლებთან ეწოდება კავშირი კედაროზე (ფრონტით).

გარდა აღნიშნულისა არსებობს კიდევ „შიგა კავშირი“. ის მდგომარეობს მიზნების ერთიანად გაგებაში, რომლებისთვისაც იბრძვიან მეომრები. მეომარს უნდა ესმოდეს თავისი არმიისა და იმ ნაწილის ამოცანა, რომელშიაც ის იმყოფება. თუ ამოცანა ეცოდინება ის სავსებით შეგნებულად აასრულებს ამოცანას მაშინაც კი, როცა მის ახლოს არ იქნება მეთაური. ამოცანის ცოდნა დაეხმარება მას იმ შემთხვევაშიაც, როცა საჭირო იქნება ამხანაგზე დახმარება, „თუნდ დაიღუპო—ამხანაგი იხსენ.“

ამრიგად კავშირი მოქმედებაში უმთავრესი პირობაა გამარჯვებისთვის. უკავშიროდ მოქმედება—ეს არის მოქმედება ბრმად.

მუდმივი და განუწყვეტი კავშირი აორკეცებს ძალებს. პ.

# უცხოეთის ავიაცია.

**საჰაერო ფლოტის გადიდება სამხრეთ-სლავიაში.**

მიმდინარე წლის შემოდგომაზე სამხრეთ-სლავიის ავიაცია საგრძნობლად გაძლიერდება. მოელიან 160 თვითმფრინავს, რომლებიც დამზადებულია საფრანგეთის ფაბრიკებში.

ამ თვითმფრინავების შემატებით სამხრეთ-სლავიის სამხედრო საჰაერო ფლოტის საერთო რაოდენობა ავა 350 აპარატამდი.

**ინგლის-გერმანიის „გაუგებრობა“.**

იუნკერსის კომპანია აწყობს „საჰერო მიმოსვლის კავშირს“ ევროპაში, რომელიც შეიცავს ევროპის ყველა საჰაერო გზებს. ამასთან დაკავშირებით ინგლისის სამოქალაქო ავიაციის წრეებში დიდი შიში წამოიჭრა. პრესაში გამოჩნდა მრავალი წერილები და ცნობები, რომ გერმანიის ძლიერება საშინლად იზრდება, რომ ამის გამო შეუძლებელი გახდება ინგლისის სამოქალაქო ავიაციის გაძლიერება და სხვა. ინგლისელებმა ხელი დაავლეს ვერსალის ხელშეკრულების მუხლებს და „მიაქციეს საფრანგეთის ყურადღება“ შექმნილ არანორმალურ მდგომარეობას.

სამოქალაქო ავიაციის დირექტორის გენერალ ბრეკერის განკარგულებით ბერლინში გაგზავნილ იქნა მოსალაპარაკებლად საჰერო სამინისტროს ორი წარმომადგენელი, მაგრამ მთელ რიგ თათბირის შემდეგ მათ ძლივს მიიღეს ნებართვა გერმანიაში გაფრენისთვის მხოლოდ ბერლინამდი. ამრიგად ყველაზე უფრო მთავარი გზა აღმოსავლეთისაკენ, ჯერ-ჯერობით დახურულია ინგლისელებისათვის. ინგლისის სამხედრო სამინისტროს მაინც იმედი აქვს რომ გადასჭრის საკითხს ყოველგვარ კონფლიქტების გარეშე.

(„კრასნაია ზვეზდა“).

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## გამოაცოცხლეთ „რემედასის“ უჯრედის მუშაობა!

„რემედასის“ და საერთოდ თვითმომქმედ ორგანიზაციების უჯრედების მუშაობის თავისი დანიშნულების სიმაღლეზე დაყენების საქმეს ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში უნდა მიექცეს მთავარი და განსაკუთრებული ყურადღება. რამოდენიმე თვით არიან ჩვენთან მოსულნი ცვალებადელები ისეთი მივარდნილი მაზრებიდან, სადაც შეიძლება სრულებითაც არ ჰქონდეთ გაგონილი რა არის „რემედასი“ ან რას ემსახურება ის. თვითეული ჩვენთაგანის მოვალეობას წარმოადგენს შევაგნებინოთ მათ თვითეული ორგანიზაციის მნიშვნელობა და დანიშნულება და გავხადოთ ისინი მათი უჯრედების აქტიურ წევრებად. თავთავიანთ სახლებში დაბრუნების შემდეგ იმათმა უნდა წაიღონ თან საკმაო ცოდნა და გახდენ საუკეთესო აგიტატორები და ორგანიზატორები ხსენებული უჯრედების დასაარსებლად სოფლის გლეხ-კაცობის ფართო მასსაში. ამას ჩვენ მხოლოდ მაშინ მივაღწევთ როდესაც ნაწილებში კარგად გვექნება ამ მხრივ საქმე დაყენებული.

სამწუხაროთ ბევრ ჩვენს ნაწილებში ძალზე მოისუსტებს თვითმომქმედი ორგანიზაციების უჯრედების მუშაობა.

მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი ტერ-ლეგიონი: მართალია აქ არსებობს „რემედასის“ მეგობართა საზოგადოების უჯრედი, მაგრამ მიუდგომლად უნდა აღვნიშნოთ, რომ არავითარი მუშაობა მასში არ სწარმოებს.

აღნიშნული უჯრედის წევრებათ ითვლება ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობის და ძირედ წითელ-არმიელების მთელი ასი პროცენტი.

უჯრედის ხელმძღვანელმა ძირედ წითელ-არმიელებს ჩამოგვართვა ძველი საწევრო წიგნაკები და შეგვპირდა ახალის შეძენას, მაგრამ მას შემდეგ გადის რამოდენიმე თვე და კაცი ყურს არ იბერტყავს. თვითეული უფ-პოლიტ-შემადგენლობის წევრს სამნეო ნაწილი საწევრო გადასახადის სახით ყოველთვიურად უჭერს 20 კაპ. მიდის თუ არა ეს ფული დანიშნულ ადგილს ალლახმა უწყის. უფ-პოლიტ-შემადგენლობის წევრები კი უკმაყოფილებას გამოსთქვამენ: საწევრო გადასახადს ყოველ-თვიურად გვახდევინებენ და საწევრო წიგნაკებს კაცი არ იძლევაო— ხშირად გაიგონებთ იმათგან.

როგორც ძირედ შემადგენლობას ისე ცვალებადელებს არც საწევრო წიგნები აქვთ და არც გადასახადს ახდევინებს კაცი, თუმც სურვილი ყველას აქვს.

ესევე შეიძლება ითქვას ლეგიონში არსებულ სხვა თვითმომქმედ ორგანიზაციების უჯრედების მუშაობაზედაც.

დროა გაიღვიძონ აღნიშნული უჯრედების ხელმძღვანელებმა და თავისი დანიშნულების სიმაღლეზე დააყენონ თვითმომქმედ ორგანიზაციების მუშაობა ჩვენთან.

სამხკორი მიუდგომელი.

## დროა დავაკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნილება.

მე 4 ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონი ცვალებადელების შესახვედრად წინასწარ სამზადისს შეუდგა. საბიბლიოთეკო დარგიც არ ჩამორჩა სხვა დარგებს და ისიც შეუდგა სამზადისს, რაც ვაცნობეთ სამნეო ნაწილის უფროსს და ვითხოვეთ სათანადო თანხა საჭირო და აუცილებელ ავეჯეულობის შესაძენად, როგორიც არის მაგიდები, გრძელი სკამები და მოძრავ ბიბლიოთეკისთვის შკაფები და სხ.

გადის რამოდენიმე დღე და ჩვენს მიმართვაზე სამნეო ნაწილი არავითარ პასუხს არ იძლევა, მეორედ მოვაგონეთ ჩვენი თხოვნა, მარა ამას პირველის ბედი ეწვია.

კარგი იქნება სამნეო ნაწილი აწი მაინც მოიგონებდეს „ანდაზას“ „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“ და შეასრულებდეს ჩვენს თხოვნას.

ფინდიხი.

## ენერგიულად მეცადინეობენ.

მე 5 ლეგიონი.

მე-3 ათასეულში ცვალებადელების მოსვლის გამო კადრის წითელ არმიელებთან მეცადინეობა პოლიტსაათში შეწყდა. პოლიტსაათს ისინი ესწრებოდენ ცვალებადელებთან ერთად. ეს ერთი კვირაა რაც კადრის არმიელებთან მეცადინეობა პოლიტსაათში კვლავ ცალკე დაიწყო. ისინი ეხლა განსაკუთრებული ენერგიით ეკიდებიან ამ საგნის შესწავლას, რადგან იციან, რომ მალე მოუხდებათ უვადო შვებულებაში წასვლა და არ უნდათ რომ თავიანთ სოფლებში უცოდინარნი წავიდენ.

სამხკორი 121.

## ჩვენი სკოლის საქმიანობა.

მე-6 ლეგ. უმცროს მეთაურთა სკოლა.

1902 წლის დაბადებულთა გაწვევიდან იქნა შევსებული ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლა.

უფრო კარგათ და მოხერხებულათ რომ მოწყობილიყო სკოლა მოთავსებული იქნა ცალკე შენობაში.

ამან კი ჩვენი სკოლა დააყენა უფრო მეტი დაბრკოლებების წინაშე ვინემ ეს იყო ძველ შენობაში.

მიუხედავად შენობის უვარგისობისა, სავარჯიშო მინდორის უქონლობისა და მრავალი სხვა ტეხნიკურ დაბრკოლებისა სკოლაში ყოველი დარგის საქმიანობა ერთი წუთითაც არ შეჩერებულა და თავიდანვე იქნა მუშაობის სწორი ხაზი აღებული.

ერთი თვეა, რაც გამოვიცვალეთ უვარგისი ბინა და გადავედით ახალ შენობაში. ახალ შენობაში ყოველნაირად კარგად მოვეწყვეთ.

ჩვენ განვლილ მუშაობაში მომხდარი ნაკლიც გამოსწორებული იქნა და ყველა დარგში დაწყებულ საქმიანობას საგრძნობი გამოცოცხლებაც დაეტყო.

სამხედრო საქმე. სამხედრო საქმეს თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა.

სისტემატიურად მუშავდება კვირეული საპროგრამო გეგმა, მხოლოდ გეგმაში აღნიშნული სხვა და სხვა გაკვეთილები მეცადინეობის დაწყებამდე წინასწარ კოლექტიურად მუშავდება მეთაურთა შორის, პოლიტ-შემადგენლობის თანდასწრებით. აღნიშნულ დარგს დათმობილი აქვს დღეში 5 საათი, აქედან ერთი საათი ეთმობა ფიზ-კულტურას.

კურსანტები დიდის ხალისით ეკიდებიან ამ დარგს და დიდ აქტივობასაც იჩენენ, რასაც ამტკიცებს პრაქტიკულ სროლაში მიღებული შედეგები, რომელიც სავსებით დამაკმაყოფილებელია.

სამხკორი ვ.—ძე.

## ზარმაცობას თავი დაანებეთ.

მე 5 ლეგიონი.

მე 5 ლეგიონის საკავშირო გუნდში არიან ოთხი წითელ ლაშქრელები წილოსანი, გობრონიძე, ჩხეიძე და გოგიჩაშვილი, რომლებსაც გაზეთების და წიგნის წაკითხვა ჭირსავით ეჯავრებათ

ამ ამხანაგებზე ორჯერ იყო საკავშირო გუნდის კედლის გაზეთში მოთავსებული წერილი, მაგრამ მათ გამოსწორებას არაფერი ეშველა.

წერა კითხვა მათ ძალიან კარგათ იციან, მაგრამ ზარმაცობენ. პოლიტ-საათზე წასვლა სიკვდილად მიაჩნიათ.

მათი საქციელი არ შეეფერება წითელ-არმიის მაღალ სახელწოდებას.

ამხანაგებო დროა ხელი მოკიდოთ თვით განვითარებას და სწავლას და არ ჩამორჩეთ დანარჩენ ამხანაგებს. სირცხვილი იმ წითელ-არმიელს, რომელიც ზარმაცობს და სწავლას გაურბის.

სამხკორი ფაქტი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## საკავშირო კომისიის მუშაობა.

ქარ. სამხ. პოლიტ სკოლა.

დღიდან თავის არჩევისა საკავშირო კომისია შეუდგა სოფლების ღარიბეს გლეხობასთან, მუშებთან და სამხედრო ნაწილებთან კავშირის განმტკიცებას, ყოველ დაწესებულებებთან მიმაგრებული იქნა თითო-თითო ამხანაგი, რომელთაც დაევალა კავშირის განმტკიცება-გაღრმავება. ავიღეთ შეფობა სოფელ №-ზე. სკოლის მთელმა შემადგენლობამ ინახულა საშეფო სოფელი.

წავიღეთ წიგნები და ჟურნალ გაზეთები, რამაც გლეხობაში დიდი სიხარული გამოიწვია კომისიის მიზანია მოაწყოს ფართე ესკურსიები სოფლებში და სხვა დაწესებულებებში, რათა უფრო ახლო გავეცნოთ ერთმანეთს და ამით შევძლოთ გლეხთა მასის დაახლოვება. დავიკავეთ წერილობითი კავშირი ნაციონალურ სკოლებთან.

ყველა ამ საშუალებებით შევძლებთ კავშირის განმტკიცებას.

სამხკორი ნ. თავართქილაძე.

## ალლუმზე.

ქარ. მეთაურთა სკოლა.

ქართ. მეთაურთა სკოლის მორიგი მანევრები (ალლუმი) 21—25 ივლისამდე გაგრძელდა.

შაშხანა თოფიდან, ტყვიაქვემეხიდან და ფარბაზიდან სროლა—ვარჯიშობას თან ახლდა პოლიტიკური და საკლუბო მუშაობაც. დავათვალიერეთ სამი სოფელი; ქემფერი, ბრილი და ალი.

ეს უკანასკნელი დიდი სოფელია. ამ სოფლებში ჩავატარეთ პოლიტიკურ თემაზე საუბრები.

სოფელ ალში 290 კომლია, ალის თემში კი 935, სულ 4.920-მდე სული.

კომპარტიის წევრი და კანდიდატი მთელ თემში 31 ამხანაგია, მათში—7 ქალი.

გაცილებით უფრო ძლიერია კომკავშირი.

სამკითხველო და კლუბი მიკეტილი იყო.

ერთმა ამხანაგმა აღნიშნა, რომ ბიბ—სამკითხველოს მუშაკებად გორის პარტ-სკოლიდან არიან გამოგზავნილი და სამკითხველო ნახევარჯელ დაკეტილიაო.

კლუბის გამგეთ ამხ. მაჩაიძე ყოფილა, ეხლა კი გამგეობას ამხანაგ ახალკაცს აბარებს.

საკლუბო მუშაობაში ეს ამხანაგები ძლივს დავიხმარეთ. საქმეს ორთავე გაურბოდა.

ამ სოფელში 32 ივლისს ჩავატარეთ „საღამო-წარმოდგენა“. დაიდგა სამ კურსანტთა მიერ შექმნილი ინსცენიროვკა: პოლიტ-მიმოხილვისა, სამხედრო პროპაგანდისა და აგრეთვე „მუშათა და გლეხთა კავშირის“ შესახებ.

ამასთანავე დაიდგა ერთი ვოდევილი „ახირებული ცოლქმარი“, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ძალებმა.

საღამოს ნაჩქარება ეტყობოდა, მაგრამ მაინც ხალისიანად და შინაარსიანად ჩატარდა.

მოქმედებებს შუა იკითხებოდა სცენები და კუპლეტები; უკრავდა სკოლის სასულე ორკესტრი: წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში.

წითელ არმიის და მანევრების მიზნებზე ილაპარაკა ერთერთმა მეთაურმა.

საღამო ღამის 11 საათზე დამთავრდა და ხალხიც კმაყოფილი დაიშალა.

სამხკორი ჩვენი.

## ჩვენი სამხედრო სწავლება.

ქარ. სამხედრო პოლიტ სკოლა.

ქარ. სამხედრო პოლიტ-სკოლის კურსანტები დღიდან საბანაკოთ გასვლისა შეუდგენ ზამთრის პერიოდში თეორიულათ განვლილ ტაქტიკის გაკვეთილების პრაქტიკულათ გავლას.

დავიარებით №-ის მაღლობ ადგილებზედ, რაშიაც შევეჩვიეთ საკმაოთ ამოცანების გამოყვანას და ბრძანებების წერასაც. ამ საქმის კარგათ შესწავლის საქმეში დიდათ ხელს გვიწყობს ამხ. ართმელაძის ენერგიული მუშაობა, რომელიც დიდათ დაინტერესებულია, რომ კურსანტებმა შეისწავლონ ტაქტიკა.

ამას წინედ გავემგზავრეთ ძიებისათვის №-ში. ყველას ამოცანა მიცემული ქონდა თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით ბრძოლაში ძიების დროს. ამხ. ართმელაძე თავს დაგვტრიალებდა, გვისწორებდა შეცდომებს. კურსანტებმა შევასრულეთ მოცემული ამოცანა, რითაც დიდათ კმაყოფილი დარჩა ხელმძღვანელიც.

სამხკორი ნ. თავართქილაძე.

## მოგვეცით იატაკის და თოფების საწმენდი ჩვრები.

მე-4 ლეგიონი.

4 ქარ. ტერლეგიონის 2-ათასეულის 4—5 და ტყვიამფრქვე ასეულებს არ აქვთ იატაკის საწმენდი ჩვრები. ნუთუ ასეთი ძნელი არის სამი ცალი ძველი ტომრის შეძენა და მიცემა?

თანახმად ათასეულის ბრძანებისა ყოველ დღე უნდა გავსწმინდოთ იატაკი ყაზარმაში. ვასხამთ წყალს იატაკზე და მოსაშრობი ტილო კი არა გვაქვს, ამით იატაკი უარესად ტალახდება და ისვრება. შაბათობით კი ხდება საერთო წმენდა მთელი ათასეულის შენობის (დაახლოებით 12 ოთახია) ჩვრები კი არ გვაქვს და წითელ-არმიელები ძლიერ გაჭირვებაში არიან. ამ მდგომარეობას არავინ ყურადღებას არ აქცევს. არ გვეძლევა აგრეთვე თოფების საწმენდი ჩვარი და თოფები კი უნდა გვქონდეს სუფთად.

გაისმის ძახილი „გასწმინდეთ თოფები!“ მაგრამ კაცი არ კითხულობს რით გავსწმინდოთ.

მიაქციოს ყურადღება და გამოასწორონ ეს ნაკლი ვისაც ევალებათ.

მეთვალყურე

## ჩვენი სამკითხველოს ნაკლოვანებანი.

მე-4 ლეგიონი.

4- ქარ. ტერლეგიონის 2 ათასეულს აქვს სამკითხველო, რომელიც ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, ერთი იმით რომ ის არის მოთავსებული მეორე სართულში და წითელ-არმიელებს ეზარებათ იქ ასვლა და რჩებიან გაზეთის წაუკითხავად. სამკითხველო უნდა ქონდეს წ. ა. მოთავსებული სადმე ახლოს. მეორე ნაკლი ისაა, რომ სამკითხველოში მოდის მხოლოდ ოროლი ცალი გაზეთი „მუშა“ და „კომუნისტი,“ „წითელ-არმიელი“ მოდის ხუთი ცალი და ერთი ცალი „ახალი სოფელი.“ როგორც კი მიიღებს სამკითხველოს გამგე გაზეთებს თითო ცალს მაშინვე წაუკითხავად ინახავს არქივში. ასე რომ მაგიდაზე ძევს მხოლოდ თითო ცალი. ძალიან რომ უნდოდეს წ. ა. ან მეთაურს წაკითხვა „მუშის“ ან „კომუნისტის“ ის უნდა ჩადგეს რიგში. საჭიროა გაზეთი „მუშა“ და „კომუნისტი“ იქნას გამოწერილი ათასეულში, სამკითხველოს გამგემ კი არქივში შეინახოს გაზეთები წაკითხვის შემდეგ.

მეთვალყურე.

## ჩვენი კედლის გაზეთი „ტერარმიელი“

მე-6 ლეგიონი.

გამოვიდა მე-3 ათასეულის კედლის გაზეთი „ტერარმიელი“ № 3. გაზეთი საშუალო ფორმატისა და სუფთად არის გამოცემული.

გაზეთში მოთავსებულია შემდეგი წერილები: მოწინავე რომელიც ეხება ლეგიონის ცხოვრების ზოგად შინაარსს, ჩვენი შემოქმედება, ათასეული საქმიანობა, სანიტარული განყოფილება; ჩვენი პარტსასწავლებლების წერილები: „სწავლა სინათლეა უსწავლელობა სიბნელე“, შემდეგ მიდის ტერარმიელის „წიგნის კვირეულის“ შეახებ.

გაზეთში აგრეთვე სამი კარიკატურაა მოთავსებული. კარიკატურები მეტად შინაარსიანი და დიდ ინტერესს იწვევს ტერარმიელებში.

საერთოდ გაზეთი ცოცხლადაა შედგენილი და დიდის ხალისით იკითხება.

დ. ჭანკვეტაძე.

# პარტიული ცხოვრება.

## ბ. კოლექტივის მუშაობა 1-ლ საარტილერიო ლეგიონში.

პარასკევს, 24 ივლისს 1-ლ ქართულ საარტილერიო ლეგიონში შესდგა საერთო პარტიული კრება. კრებას დაესწრო მთელი პარტიულ წევრების, კანდიდატების და კომკავშირის შემადგენლობა.

დღის წესრიგში იდგა საკითხები: 1. ბიურო კოლექტივის საანგარიშო მოხსენება 1 იანვრიდან დღემდი, 2. ბიუროს არჩევნები და 3. სასკოლო საპროპაგანდო მუშაობა საბანაკო პერიოდში.

ბ. კოლექტივის საანგარიშო მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის ბიუროს მდივანი ამხ. დემეტრაშვილი, რომელიც კრებას აცნობს მოკლედ ბიურო კოლექტივის მუშაობას საანგარიშო წლის განმავლობაში და აგრეთვე აღნიშნავს იმ დაბრკოლებას, რომელიც ხელს უშლიდა ბიუროს მუშაობას, რაიც გამოიხატება შემდეგში: ძველი ბიუროს მიერ მოუწესრიგებელი საქმეების ჩაბარება, უწესრიგოთ პარტიული პირადი საქმეების წარმოება და წევრების სიმცირე. ამ ნაკლის გამოსწორების შემდეგ ბიურო კოლექტივს მოუწვევია ოცდა ორჯერ სხდომა.

ამ სხდომებზე გარჩეულა 94 სხვა და სხვა საკითხები, ამათ შორის 26 წმინდა პარტიული და დანარჩენი 68 პოლიტიკური, საგანმანათლებლო და ნაწილის სხვა საკითხები.

შემდეგ მომხსენებელი ეხება უპარტიოთა შორის მუშაობის გაძლიერებას ნაწილში.

საანგარიშო წლის განმავლობაში პარტიის კანდიდატათ მიღებულია 21 კაცი, კანდიდატებიდან წევრათ გადარიცხულია 1, მათ შორის ახ. ლ. კ. კ. წ. 7, უპარტიო წითელ არმიელებისაგან 15, სულ 22. პარტიაში ახლად მიღებულთა სოციალური მდგომარეობა ასეთია გლეხი 15, მუშა—4, ინტელიგენტი 3; 1 იანვრიდან ბიურო კოლექტივის მიერ გამორიცხულია ორი კომპარტიის კანდიდატი და ორი ახ. კ. კ. წ.

1 იანვრიდან საწევრო გადასახადი შემოსულია დღემდე 87 მ. 15 კ.

წინანდელ შემოსულთან ერთად 94 მანეთი და 11 კაპეიკი ითვლება ბიუროს სალაროში. მოხსენებების შემდეგ გაიმართა ცოცხალი საქმიანი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელი სათანადო პასუხს იძლეოდა. მოხსენების ირგვლივ გამოტანილი იქნა ერთხმად რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ ბ. კოლექტივის მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლათ.

შემდეგ მოხდა ბიურო კოლექტივის წევრების არჩევა.

სასკოლო-საპროპაგანდო მუშაობის შესახებ საზაფხულო პერიოდში მოხსენებით გამოდის ამხ. ხუჭუა. მომხსენელმა მთავარ დაბრკოლებათა ერთად აღნიშნა ნაწილის მიღწევებიც ამ დარგში.

ჯგუფების ჩამოყალიბებისათვის ერთ მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზათ ნაწილში მომხსენებელი სთვლის მეთოდიურ სახელმძღვანელოების უქონლობას ქართულ ენაზე.

სამხ კ რი ტ. ხეველი.

## საღამო წარმოდგენა ჩვენთან.

1 ლი ლეგიონი.

30 ივლისს წითელ არმიელთა კლუბში გაიმართა საღამო პირველ ლეგიონის კლუბის ძალების მიერ. საღამოს მოწყობაში კლუბმა დიდი ენერგია გამოიჩინა. მუშაობას ხელმძღვანელობდენ ამხ. შ. წულიკიძე და ამხ. ჭანტურიშვილი.

საღამოს 7 საათზე გაიმართა წარმოდგენა; ნაჩვენები იყო აგრეთვე კინო სურათი „სურამის ციხე“; გამოფენილი იყო ლეგიონის კედლის გაზეთი და მრავალი სხვა. გამოუშვეს შუქის გაზეთიც.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო და იშვიათი ინტერესით ჩატარდა.

ასეთი საღამოს გამართვა ჩვენთან პირველია. მომავალში 1-ლ ლეგიონი შეეცდება, რომ მან უფრო გააღრმავოს მუშაობა ამ დარგში და ხშირად მოაწყოს ასეთი საღამოები.

საერთოთ ამ მუშაობაში მადლობია ღირსია ამხ. ჭანტურიშვილი, რომელმაც გაგვიწია ხელმძღვანელობა და ენერგიული დახმარება საღამოს ჩატარებაში.

საჩხკორი ს. იმნაიშვილი.

## სალამი მიმავალ ამხანაგებს.

28 ივლისს, საღამოს 9 საათზე, ამოკითხვის შემდეგ გაისმა რომ ჩვენი ათასეულის კომისარი ამხ. შელია მიდის აკადემიაში და უნდა გამოვემშვიდობოთ.

სკოლის ეზოს მინდორში თავი მოუყრიათ ასეულების და განყოფილების კურსანტებს.

ჩამოვარდა სიჩუმე, გამოჩნდა ამხ. შელია, რომელმაც გამოსამშვიდებელი სიტყვებით მიმართა კურსანტებს და მოუწოდა მათ ენერგიული მუშაობისაკენ ცოდნის შესაძენათ.

შემდეგ ამხ. ლაპატინიც ემშვიდობება კურსანტებს და უსურვებს მათ გამარჯვებას როგორც სამხედრო, ისე კულტურულ ფრონტზე.

კურსანტების მხრივ მიმავალ ამხანაგებს სიტყვებით მიმართეს ამხ. ამხ. ოკრიბელაშვილმა და ხინთიბიძემ, რომელნიც იძლევიან სამხედრო ფიცს კურსანტების სახელით, რომ იგინი იბრძოლებენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე მუშათა კლასის საკეთილდღეოდ და უსურვებენ მიმავალ ამხანაგებს სრულ გამარჯვებას დაწყებულ საქმეში.

სამხკორი რაფქორი.

## სიმართლის აღსადგენათ.*)

(პასუხად ამხ. ჭანკვეტაძეს).

„წითელი-არმიელი-“ს №163-ში ამხ. უსაყვედურებს მე-6 ლეგ. დამხმარე სალაროს გამგეობას, რომ მე-9ასეულის უფ-პოლიტშემადგენლობას, რომელიც იდგა ქ. № ში არავითარი დახმარებით არ უსარგებლია სალაროდან, თუმც ბევრჯერ მიუმართავს მისთვის მას.

სანამ ამას დასწერდა, კარგი იქნებოდა ამხ. ჭანკვეტაძე რომ შეკითხებოდა ასეულის თავს და უფ-პოლიტშემადგენლობას, მიუმართავთ თუ არა მათ ასეთი განცხადებით გამგეობისათვის, თუმცა დებულების მიხედვით ეს დაუშვებელია.

შემდეგ ამხ. ჭანკვეტაძე სწერს, რომ ივნისის თვის ბოლოში მას მიეცა სესხათ 6 მანეთი და ოთხი დღის შემდეგ ისევ დამიკავესო.

ეს არ არის მართალი. თქვენ გაქვთ გატანილი სესხი არა ივნისის ბოლოში, არამედ 19 მაისს (გვაქვს ხელწერილი) და დაგეკავათ ოთხი დღის შემდეგ კი არა, არამედ ივნისის 4-ში 3-მან. და ივლისის 6-ში-3-მან., ესე იგი ორი თვის განმავლობაში.

სალაროს აქვს 700 მ., სწერს ამხ., და ამ თანხიდან მე-9 ათასეულმა მიიღო 8 ივლის 50 მ.-სულ 120 მან. და ეს თანხა ცოტა არის ათასეულისათვის?

შეიძლება ცოტა იყოს, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ სალაროს 85 წევრი ყავს მათ აქვთ 718 მან. 50 კ. თქვენ ათასეულში კი არის 14 წევრი. გამოიანგარიშეთ, ამხ. ჭანკვეტაძე, თუ რამდენი ერგება 14 წევრს? არა უმეტეს, რასაკვირველია, 120 მან. და ეს ფული კიდევაც გადაგზავნილი არის.

რაც შეეხება იმას თითქოს ერთი და იგივე პირი სარგებლობდეს სესხით რამოდენიმეჯერ, არც ეს არის მართალი. გადახედეთ საფულე დავთრის პირადი ანგარიშის განყოფილება და თვით დარწმუნდებით თქვენ მიერ წამოყენებულ ბრალდების უსამართლობაში.

სალაროს წევრებად დღეს ირიცხება 85 კაცი უფ-პოლიტშემადგენლობიდან და ამათში მარტიდან სესხით უსარგებლია 62 წევრს, რაც შეადგენს 70 პროც. ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ ერთი და იგივე ამხანაგს არა აქვს რამოდენიმე-ჯერ წაღებული სესხი.

მომავალში ეცადეთ, ამხ. ჭანკვეტაძე, სწორი ცნობები მიაწოდოთ გაზეთს.

მე-6ე მსრ. ლეგიონის ურთიერთ დამხმარე სალაროს გამგეობა.

1. მაჭავარიანი 2. ხუციშვილი 3. შატბერაშვილი.

*) რედაქცია ამ საკითხს ამოწურულად სთვლის და ყოველივე კამათს მის გარშემო გაზეთის ფურცლებზე სპობს.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### აპენდიციტი და ხორცეული საჭმელები.

მიუხედავად იმისა, რომ ერთობ გავრცელებულია ბრმა ნაწლავის ანთება (აპენდიციტი) მისი გამომწვევი მიზეზები დღემდე გამოურკვეველია ზედმიწევნით, იმიტომ, რომ მისი გამომწვევი მიზეზები ბევრი და მრავალგვარია.

მთავარი მიზეზები აპენდიციტის განვითარებისა არის ის, რომ ქიასებურ ნაზარდის (ბრმა ნაწლავის) ჭურჭუტანაში ვარდება ემალის ნამცეცები საჭმლის ჭურჭლიდან საჭმელთან ერთად, აგრეთვე ყურძნის კურკები და სხვა.

აპენდიციტის კარგად მცოდნე ფრანგ ქირურგ ლიუკ-შამპიონმა აღმოაჩინა ახალი, მეტად გავრცელებული მიზეზი ამ ავადმყოფობისა. მისი აზრით მთავარი მიზეზი ამ სენისა—ხორცეული საჭმელებია. ამის დასამტკიცებლად მას მოჰყავს ის ფაქტი, რომ აპენდიციტი მეტად გავრცელებულია იმ ადგილებში, სადაც ხალხი უმთავრესად იკვებება ხორცეული საჭმელებით და თითქმის სრულებით არა აქვს ადგილი ვეგეტერიანებში (ადამიანები, რომლებიც იკვებებიან მხოლოდ მცენარეული საჭმელებით).

დაკვირვებანი, რომელსაც აწარმოებდა ექიმი ნოაბი, გვიჩვენებენ რომ მეტად იშვიათია აპენდიციტით დაავადმყოფება ინდოელებში. ამასვე ამტკიცებს კონსტანტინოპოლში არსებული გერმანელების და ინდოელების საავადმყოფოებში წარმოებულ აპენდიციტის ოპერაციების რიცხვთა შედარება: გერმანელების საავადმყოფოში ათჯერ მეტი შემთხვევა ყოფილა აპენდიციტით დაავადმყოფებისა ვიდრე ინდოელების, სადაც ამგვარი დაავადმყოფებას იშვიათად აქვს ადგილი.

ექიმი ნოაბი ამას ხსნის იმით, რომ ინდოელები იკვებებიან მხოლოდ მცენარეული საჭმელებით.

აპენდიციტის წარმოშობაში ხორცეული საჭმელებისგავლენა აიხსნება უპირველესად უკანასკნელთა თვისებით, შეკვრით, რომელიც იწვევს კალიის (ქიმ. ნივთიერება) შეჩერებას მსხვილ ნაწლავებში და მაშასადამე ბრმა ნაწლავშიც, აგრეთვე იმ გარემოებით რომ ადამიანის ნაწლავებში საჭმელთან ერთად ხვდება სხვა და სხვა პარაზიტები, რომელთა, აპენდიციტის გამომწვევი თვისება უკვე დამტკიცებულია.

### მიწის გაპატიება ფოსფორიტებით.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მეცნიერულ-ტეხნიკურ განყოფილებასთან არსებულ მიწის გაპატიების შემსწავლელ ინსტიტუტმა უკანასკნელ ხანებში მოახდინა მრავალი ცდები მიწის პატიების გამოკვლევის მიზნით.

გამოკვლეულ იქნა ფოსფორიტების გამოყენება მიწის გასაპატიებლად სხვა და სხვა მცენარის — კულტურისათვის სხვა და სხვა გვარად დამუშავებულ ნიადაგზე და საბჭოთა კავშირის მრავალფეროვან ჰავის პირობებში.

ინსტიტუტის საცდელ სადგურების მიერ გამოკვლეულია ფოსფორიტების უშუალოდ გამოყენების შესაძლებლობა მიწის გასაპატიებლათ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება ისე დაფქული, რომ მისი ნამცეცები ედრება 0,02-დან 0,005 მილ.მ. დადებით შედეგს ამ გამოკვლევისა აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა ჩვენი მიწად-მოქმედებისთვის, რადგანაც ფოსფორი ერთი უმთავრესი საშუალებაა კარგი მოსავლის.

ტყისა და შავი ნიადაგის ფოსფორიტულ გაპატიებისათვის საჭიროა ფოსფორიტულ სიმჟავის (ანგიდრიდა) 11 კილოგრ. ერთ დესეტინაზე წელიწადში, ხოლო გამოფიტულ ნიადაგისთვის 35 კილოგრამი.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიის კანდიდატებს პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ. თუ ვინმეს მოეპოება უარყოფითი ცნობები მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ მე-2 ქ. მ. დივ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედში ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, სიტყვიერად ან წერილობით. უსახელო წერილები არ მიიღება.

1. კოდანოვი ლევან ილიას-ძე, მესანგრე ასეულის ზემდეგი. ქ. თბილისის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრ. 2. ჯაფარიძე ილარიონ, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრიდან. 3. მოწონელიძე ალექსანდრე მეთოდეს-ძე, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრა, ახ. ლ. კომ-კავშირის წევრი 1921 წლიდან და კომუნისტური პარტიის კანდიდატი 1925 წლის იანვრიდან.

უჯრედის პას. მგ. მდივანი.

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის სკოლის კომ-უჯრედში ჩვენივე სკოლის ახ. ლ. კ. კავშირის წევრად მიღების შესახებ შემოტანილი აქვთ განცხადება შემდეგ წ. არმიელებს: 1. ტრიფონ ეფრემის-ძე აგლაძეს, რაჭის მაზრა, სორის თემის სოფელ მხლის მცხოვრები, გლეხი, მცირე მცოდნე. 2. ტენტერაშვილი დავით ამბაკოს-ძეს, გორის მაზრა, სოფელ ქვემო-ჭალის მცხოვრები, გლეხი, მცირე მცოდნე, უპარტიო. 3. ალექსანდრე იორდანეს-ძე ნებიერიძეს, გორის მაზრა, ცხინვალის თემის, სოფელ კეხვის მცხოვრები, გლეხი, ღარიბი, მცირე მცოდნე, უპარტიო. 4. ივანე ოქროპირის-ძე ბარელაძეს, გლეხი, უპარტიო, შორაპნის მაზრის, პერევის თემი სოფელ პერევისა. 5. ალექსანდრე დიმიტრის-ძე ელენტს, შორაპნის მაზრა, კლდეეთის თემი, სოფელ კვალითის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო, განათ. ორი კლასი. 6. ნიკოლოზ ლუკას-ძე ყუფარაძეს, შორაპნის მაზრა, ზესტაფონის თემი, სოფელ საქარის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 7. აკაკი ოქროპირის-ძე კურცხალიას, შორაპნის მაზრა, სოფ. ზორვეთის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 8. ბართლომე მიხეილის-ძე ხუხუნაშვილს, ოზურგეთის მაზრა, სოფ. ზემო აკეთის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 9. კალისტრატე მალხაზის-ძე ოქრუაძეს, შორაპნის მაზრა, თერჯოლის თემი, სოფელ ტელეფას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 10. სიმლარ ლაზარეს-ძე გედენიძეს, ქუთაისის მაზრა, სოფელ კინჩხას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 11. მიხეილ მარკოზის-ძე ჭანკვეტაძეს, შორაპნის მაზრა, სოფელ საქარას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 12. ანდრია ნიკოლოზის-ძე დევიძეს, შორაპნის მაზრა, თერჯოლის თემი სოფ. თერჯოლას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 13. ვენედიკტე ამბაკოს-ძე ვაშაკიძეს, ქუთაისის მაზრა, დიდი ჯიხაიშის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 14. ბენია კირილეს-ძე ლომაძეს, ოზურგეთის მაზრა, სოფ. ჩიბათი, გლეხი, უპარტიო.

თუ ვინმეს აქვს ზემო აღნიშნულ ამხანაგების შესახებ რაიმე უარყოფითი, გვაცნობეთ ხუთი დღის განმავლობაში. 1-ლ ლეგ. სკოლის კომ-უჯრედში.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ს. სამხედრო სტამბა ელის ქ. № 3.